
ლითონის ფურცლოვანი, ანოდირებული, RAL 3012
ლითონის ფურცლოვანი, ანოდირებული, RAL 7042
ლითონის ფურცლოვანი, ანოდირებული, RAL 5024
ლითონის ფურცლოვანი, ანოდირებული, RAL 7044
ლითონის ფურცლოვანი, ანოდირებული, RAL 7042
21.030
15.765
33.200
32.300
20.385
21.440
20.040
21.660
25.480
14.200
ლითონის ფურცლოვანი, ანოდირებული, RAL 1001
HPL panel (Gentas, 4282 VL)
რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (stucco popmpei)
ქართული აგური
20.590
18.065
11.650
ბეტონის პანელი
HPL panel (Gentas, 6030 NT)









სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
63268053795422

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N220180056

რეგისტრაციის თარიღი
22.02.2022 წ

ნოტარიუსი: ლანა მაჭავარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2
ტელეფონი: (+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაორ თებერვალს მე, ნოტარიუსს ლანა მაჭავარიანს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2, მომმართა ბატონმა **იციკ მოშე-მ** რომელმაც განაცხადა, რომ ის არის **შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ"-ის (ს/ნ 204496410)** დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **იციკ მოშე-მ** (დაბ:31.12.1959წ. ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქის პასპორტის ნომერი.: N23983831, გაც.თარიღი:15.10.2020.წ. მოქ.ვადა: 14.10.2025.წ. მცხოვრები:ქ.თბილისი, ბესიკის ქუჩა N4) მომმართა.

მე შევამოწმე **იციკ მოშე-ს** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის არის **შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ"-ის (ს/ნ 204496410)** დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B20094802; ამონაწერის მომზადების თარიღი: 18/11/2020წ.)

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ"-ის (ს/ნ 204496410) დირექტორი **იციკ მოშე** (დაბ:31.12.1959წ. ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქის პასპორტის ნომერი.: N23983831, გაც.თარიღი:15.10.2020.წ. მოქ.ვადა: 14.10.2025.წ. მცხოვრები:ქ.თბილისი, ბესიკის ქუჩა N4) ამ მინდობილობით ვენდობი **გიორგი ჟუჟუნაშვილს** (დაბ.:06.03.1979წ. პირადი ნომერი:01030002628) წარმოადგინოს კომპანია ნებისმიერ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. მათ შორის წარმოადგინოს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად **შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ" (ს/ნ 204496410)** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შსს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან და/ან სხვა ნებისმიერ სახელმწიფო და/ან ადგილობრივ და/ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან და/ან სამსახურთან და/ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან; შეუზღუდავად, დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად განახორციელოს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებთან და/ან ორგანოებთან **შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ"-ის (ს/ნ 204496410)** წარმომადგენლობა, დააყენოს ნებისმიერი მოთხოვნა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული ქმედება აღნიშნულ პირებთან. კერძოდ, მიმართოს ზემოაღნიშნულ ორგანოებსა და ორგანიზაციებს განცხადებებით, დააყენოს მოთხოვნები, მისცეს ახსნა-განმარტებები, მოითხოვოს **შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ"-ის (ს/ნ 204496410)** საკუთრებაში არსებული ნებისმიერი მიწის ნაკვეთის დაკორექტირება, გამიჯვნა, გაყოფა, გაერთიანება, წითელი ხაზების კორექტირება და ნებისმიერი სხვა იურიდიული ქმედება საკუთარი შეხედულებისამებრ. მინდობილი პირი უფლებამოსილია გამოვიდეს კომპანიის სახელით, წარადგინოს ნებისმიერი განცხადება, მოთხოვნა და/ან მიმართვა, გააკეთოს ახსნა განმარტებები, დასვას კითხვები, გასცეს პასუხები, წარადგინოს და ჩაიბაროს ნებისმიერი კორესპოდენცია და დოკუმენტაცია, მოითხოვოს დაწყება და მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოების პროცესში, მოითხოვოს საპატრულო პოლიციის მიერ მშენებლობის მიზნებისათვის გზების გადაკეტვა და შეათანხმოს შესაბამისი გეგმა, დააყენოს ნებისმიერი თხოვნა, მოთხოვნა და/ან შუამდგომლობა აბსოლუტურად ნებისმიერი მესამე პირის წინაშე და განახორციელონ ნებისმიერი იურიდიული ქმედება სრულად და შეუზღუდავად საკუთარი შეხედულებისამებრ. ზემოაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია **შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ" (ს/ნ 204496410)** წარმოადგინონ ყველა შესაბამის ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს, შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. მომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, არქიტექტურის სამსახურში, მერიაში, გამგეობაში, თბილისის მუნიციპალიტეტში, საპროექტო და არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის სამსახურში, მიმართოს განცხადებებით, წარადგინოს და მიიღოს საჭირო დოკუმენტები, განაახლოს ამონაწერი, შეათანხმოს/წარადგინოს/დაამტკიცოს პროექტები, მიიღოს მშენებლობის/პროექტის ცვლილების ნებართვა, პროექტები და სხვა საჭირო ნებართვები, შეიტანოს ცვლილებები, განახორციელოს პროექტის კორექტირება, აწარმოოს

ქონებლობა, ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტები, წარადგინოს მიიღოს ნახაზები, დაწეროს თანხმობები, **შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ"-ის (ს/წ 204496410)** სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები პროექტის შეთანხმების/პროექტის ცვლილების ან/ და შენობის დაშენების / ექსპლუატაციაში მიღების საკითხთან დაკავშირებით. გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტები. აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოებზე ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით, ან/და შემდგომ პროექტში ან სამართლებრივ აქტებში სხვადასხვა ხარვეზებისა თუ განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე ატვირთოს დოკუმენტაცია ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის საიტზე, ამასთანვე მინდობილი პირი უფლებამოსილი არის ნებისმიერ სამსახურში აწარმოოს ყველა ის საქმიანობა, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან. (უძრავი ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის უფლების გარეშე). მინდობილობის მიმღები უფლებამოსილი არის შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია **2022 წლის 22 თებერვალს და ძალაშია 2024 წლის 22 თებერვლის** ჩათვლით, გადანდობის უფლების გადაცემის გარეშე.

მიმნდობს უფლება აქვს, ვადაზე ადრე ნებისმიერ დროს გააუქმოს წინამდებარე აქტი.

მინდობილობა შედგენილია ხუთი თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლანა მაჭავარიანის სანოტარო არქივში (ამონაწერთან ერთად) ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 (ათი) ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 1 (ერთი) ლარი და 80 (ოთხმოცი) თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N507-ის 39-ე მუხლისა): სულ გადახდილია 13 (ცამეტი) ლარი და 80 (ოთხმოცი) თეთრი.

შპს "ემ.სი.აი. პროჯექტ"-ის (ს/წ 204496410) დირექტორი

იციკ მოშე _____

ნოტარიუსი _____ /ლანა მაჭავარიანი/

შეკერილია და დანომრილია
30
ფურცელზე
ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი